

## წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. კონფერენციაში მონაწილეობის სარეგისტრაციო ფორმა
2. ცნობა სამუშაო ადგილიდან
3. მოხსენების ერთგვერდიანი ანოტაცია (აბსტრაქტი) (სადაც აღწერილი იქნება წარმოდგენილი გამოცდილება)
4. საპრეზენტაციო პროგრამაში (PowerPoint ან Prezi) აგებული ვიზუალური მასალა (არაუმეტეს 15 სლაიდისა)

### აბსტრაქტი უნდა მოიცავდეს:

- ✓ საკონფერენციო ნაშრომი უნდა ეფუძნებოდეს მომხსენებლის მიერ 2017-2018 სასწავლო წელს სასწავლო პროცესში განხორციელებულ აქტივობა/აქტივობებს.
- ✓ აღწერილობა უნდა მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს: სასკოლო საფეხური/კლასი; მიზანი/მიზნები; გამოყენებული რესურსები; ჩართულ მოსწავლეთა რაოდენობა; აქტივობების სერია; შედეგი/შედეგები
- ✓ აბსტრაქტი წარმოდგენილი უნდა იყოს: word-ის დოკუმენტი, ერთი გვერდი, A4 ფორმატი, Sylfaen 11 შრიფტით, ხაზებს შორის დაშორება 1,0.

### აბსტრაქტის შეფასების კრიტერიუმები:

- პრობლემის/ თემის აქტუალობა და კონფერენციის თემატიკისადმი შესაბამისობა (1-3 ქ)
- საქმიანობის მიზნები გასაგებად და კონკრეტულად არის ჩამოყალიბებული, მოსწავლეზეა ორიენტირებული, მიზნის მიღწევა შესაძლებელია აღწერილი საქმიანობით (1-3 ქ)
- აქტივობების თანმიმდევრობა ლოგიკურია, ეხმარება მოსწავლეებს შესაბამისი ახალი ცოდნის შექმნასა და შესაბამისი უნარების განვითარებაში (1-3 ქ)
- აქტივობებში ჩანს მოსწავლეთა / მასწავლებელთა ჩართულობა და მათი როლი (1-3 ქ)
- მოხსენების შინაარსი გამართულია, არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომებს (1-3 ქ)

### პრეზენტაციის ფორმა:

საპრეზენტაციო ფორმატში (Power Point ან Prezi) აგებული მოხსენების თეზისები და სადემონსტრაციო მასალა (არაუმეტეს 15 სლაიდისა), მოხსენების რეგლამენტი - 10 წუთი.

### პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები:

- პრეზენტაციის შინაარსი და თვალსაჩინოება წარმოდგენილი მოხსენების შესაბამისია (1-3 ქ)
- პრეზენტაციაში წარმოდგენილია საქმიანობის საკვანძო ასპექტები (1-3 ქ)
- პრეზენტაციაში დაცულია ბალანსი თვალსაჩინოებასა და ტექსტს შორის (1-3 ქ)

ყველა მასალა უნდა გამოიგზავნოს ელექტრონულად ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის/ბათუმის მასწავლებლის სახლის შესაბამისი მიმართულების კოორდინატორთან შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე:

- ✓ უცხოური ენები (ინგლისური/რუსული/გერმანული/ფრანგული), გეოგრაფია, ისტორია, სამოქალაქო განათლება, კატასტროფების რისკის შემცირება
- გიული მიქელაძე: 599 50-70-56; E-mail: [mikeladzegiuli@gmail.com](mailto:mikeladzegiuli@gmail.com)

- ✓ ქიმია, ბიოლოგია, ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, მათემატიკა, ისტი, ინკლუზიური განათლება  
თინათინ ციცხვაია: 599 - 58-58-31; E-mail: [tiatsitskhvaia@gmail.com](mailto:tiatsitskhvaia@gmail.com)
- ✓ ქართული ენა და ლიტერატურა, განათლების დაწყებითი საფეხური, ხელოვნება, მუსიკა, სპორტი, განათლების მართვა  
ირმა მახარაძე: 599 - 74-30-08; E-mail: [irmamakharadze1@gmail.com](mailto:irmamakharadze1@gmail.com)

დოკუმენტაციის მიღება დაიწყება 2018 წლის 22 ოქტომბრიდან და გაგრძელდება 2018 წლის 19 ნოემბრის ჩათვლით 18:00 საათამდე.

**შენიშვნა:**

1. ელექტრონული ფოსტის სათაურის ველში აუცილებლად მიუთითეთ საგანი!
2. არასრული ინფორმაციის შემცველი განაცხადები არ განიხილება!
3. ვადების დარღვევით შემოსული განაცხადი არ განიხილება!
4. ინტეგრირებული პროექტის წარმოდგენის შემთხვევაში მხოლოდ ერთი ავტორი მიიღებს მონაწილეობას კონფერენციაში.
5. მონაწილეს მხოლოდ ერთი მიმართულებით შეუძლია თემის წარმოდგენა.